

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

A handwritten signature in blue ink, consisting of stylized letters, written over a horizontal line.

კახაბერ კირტავა

07. 09. 2015 წელი

2 ეგზ.

შპს „ბათუმის წყალი“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 26/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

შემოკლებანი:.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა	7
შრომის ანაზღაურება	8
ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება.....	13
საზოგადოების საკუთრებაში არსებული საწვავის ხარჯი.....	14
ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები	17
სახელმწიფო შესყიდვები	19
დებიტორ-კრედიტორული ვალდებულებები	22
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	23

შემოკლებანი:

შპს „ბათუმის წყალი“ - ბათუმის წყალი/საზოგადოება;

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

შრომის ანაზღაურება:

❖ შრომითი კანონმდებლობის შეუსაბამოდ, აუდიტის ობიექტის მიერ 2014 წლის განმავლობაში 187 თანამშრომელზე დარიცხულია საშვებულებო ანაზღაურება 93 944.5 ლარი, ხოლო 18 თანამშრომელს შვებულებიდან გამოძახების მიუხედავად დაერიცხა 32 589.9 ლარი. (იხ. გვ. 8)

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება:

❖ აუდიტის პერიოდში, საზოგადოების მიერ აუდიტის ობიექტში დასაქმებულ თანამშრომლებზე ანაზღაურებულია ზეგანაკვეთური სამუშაო საათების (დღეების) ღირებულება 1 341 046 ლარის ოდენობით, თუმცა დოკუმენტურად არ ფიქსირდება აღნიშნულ სამუშაოთა სახეები და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობა. (იხ. გვ. 13)

საწვავის ხარჯი:

❖ შპს „ბათუმის წყალში“ ავტომანქანებზე გახარჯული საწვავის შემოწმებით დგინდება, რომ შედგენილი „საგზაო ფურცლების მიხედვით“ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის გაცემა და ჩამოწერა ხორციელდებოდა გაცემული საწვავის კონკრეტულ კოეფიციენტზე გაყოფით და არა ფაქტობრივი ხარჯვის მიხედვით. (იხ. გვ. 14)

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები:

❖ აუდიტის ობიექტში, არ ხორციელდება ავტონაწილების შეცვლის შედეგად შესაძლო მისაღები მატერიალურ ფასეულობათა მართვა და აღწერა. (იხ. გვ. 17)

სახელმწიფო შესყიდვები:

❖ ქუჩების შეკეთებითი სამუშაოებისათვის ელექტრონული ტენდერის საშუალებით ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „გზებს“, ღირებულებით 475 000 ლარი, თუმცა შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბაზრის კვლევა/სამუშაოების განფასება მისი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით,

ასევე რიგ შემთხვევაში, ვერ ხდება იდენტიფიცირება თუ კონკრეტულად ქუჩის რა მონაკვეთზე იქნა განხორციელებული სამუშაოები. (იხ. გვ. 19)

❖ შპს „ბათუმის წყალის“ მიერ განხორციელებული შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლინდა 5 შემთხვევა, როდესაც გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიმწოდებლების თხოვნით, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენლობის პირობებში, შესაბამისი დასაბუთების გარეშე განხორციელებულია ცვლილებები, სამუშაოების შესრულების/საქონლის მიწოდების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. (იხ. გვ. 20-22)

დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებები:

❖ აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვერ ხდება სრულად დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების ნაშთების იდენტიფიცირება, ასევე არ არის განხორციელებული შესაბამისი ინვენტარიზაცია, შესაბამისად აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას დებიტორული დავალიანების სისრულესა და სიზუსტესთან დაკავშირებით. (იხ. გვ. 22)

რეკომენდაციები

❖ თანამშრომელთა საშვებულებო ანაზღაურება განხორციელდეს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, ფიქსირებული ხელფასის შემთხვევაში შესაბამისი წესის და ფაქტობრივად ნასარგებლო საშვებულებო დღეების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას;

❖ შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მიზნით, ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ზეგანაკვეთური სამუშაოების ანაზღაურების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთება მიზნობრიობასთან დაკავშირებით;

❖ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა საწვავის ხარჯვა და ჩამოწერა, შესაბამისი ტექნიკის მიხედვით, განხორციელდეს ფაქტობრივად გამოყენებული ლიტრაჟობისა და გავლილი კილომეტრაჟის მონაცემების მიხედვით;

❖ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შედეგად შესაძლო მისაღები მატერიალური ფასეულობების იდენტიფიცირება და აღრიცხვა, რაც შესაძლოა საზოგადოებისათვის დამატებითი შემოსავლის საფუძველი გახდეს;

❖ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება, ორგანიზაციაში არსებული ქონების იდენტიფიცირებისა და მართვის

მიზნით, რაც შესაძლებელია აუდიტის ობიექტისათვის დამატებითი შემოსავლების საფუძველი გახდეს;

❖ შესყიდვის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე უზრუნველყოფილი იქნეს განსახორციელებელი სამუშაოების დეტალური განწერა და განფასება შესაბამისად დასაბუთებული ბაზრის კვლევის მიხედვით;

❖ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები შესაბამისად იქნეს დასაბუთებული და დაცული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი მარეგულირებელი ნორმები;

❖ აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობამ, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მიხედვით, განახორციელოს დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში აუდიტის ობიექტის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს შპს „ბათუმის წყალის“ 2014 წლის შემოსულობების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები:

1. ადმინისტრაციული ხარჯები;
2. სახელმწიფო შესყიდვები;
3. ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები;
4. დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებები.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „ბათუმის წყალის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2014 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. საზოგადოების ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ შპს „ბათუმის წყალის“ 2014 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

შპს „ბათუმის წყალი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ქალაქ ბათუმის მერია. საზოგადოების ძირითად საქმიანობის სფეროებია - წყალმომარაგებისა და კანალიზაციის საჯარო მეორადი და წნევის ტუმბოების ჩათვლით ექსპლუატაცია, უზრუნველყოფა და განვითარება; წყალმიმღებებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა; ადგილის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა; ქალაქ ბათუმის სანიაღვრე სისტემის ექსპლუატაცია და უზრუნველყოფა; ხალხის ინფორმირებულობა წყლის წარმოების, ეფექტურად გამოყენებისა და წყლის გახარჯვის შეზღუდვის შესახებ; მრიცხველთა დაყენების ხელშეწყობა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის სფეროები. საზოგადოების მართვის ორგანოებს წარმოადგენს პარტნიორთა კრება და დირექტორი, საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ერთპიროვნულად ევალება დირექტორს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლების 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი ქალაქ ბათუმის მერია. საზოგადოებას 2014 წლის პერიოდში დამტკიცებული და შეთანხმებული (ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 ივნისის N97 განკარგულების მიხედვით) აქვს საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შტატით მომუშავეთა რაოდენობა და ხელფასი, ხოლო შტატგარეშე მომუშავეებთან შრომითი ურთიერთობა ინდივიდუალურად, შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. სულ 2014 წლის პერიოდში შტატით მომუშავეთა რაოდენობა შეადგენდა 236-ს, ხოლო შტატგარეშე 201-ს. საზოგადოების ფინანსური რესურსები ძირითადად შედგება საკუთარი შემოსავლებიდან, რომელიც წყალის საფასურის სახით აკუმულირდება. საოპერაციო/არასაოპერაციო შემოსავლებმა წლების მიხედვით შემდეგი თანხები შეადგინა:

- 2012 წელი - საოპერაციო (ძირითადი შემოსავალი) 6 957 847 ლარი, არასაოპერაციო 214 457 ლარი;
- 2013 წელი - საოპერაციო (ძირითადი შემოსავალი) 7 890 204 ლარი, არასაოპერაციო 1 760 219 ლარი;
- 2014 წელი - საოპერაციო (ძირითადი შემოსავალი) 8 869 839 ლარი, არასაოპერაციო 1 446 737 ლარი.


შესაბამისად, 2014 წლის სრული შემოსულობები 10 316 576 ლარით განისაზღვრა, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „ბათუმის წყალის“ აბონენტთა მომსახურების დანარიცხების ბაზაში ფიქსირდება სულ 62 252 აბონენტი. მათ შორის: საყოფაცხოვრებო 26 232, კომერციული სუბიექტი 5823 და 197 ადმინისტრაციული, სასწავლო და სხვა ტიპის ობიექტები. აღნიშნულ სუბიექტებზე დარიცხვების

შესაბამისად, 2014 წლის პერიოდში საშუალოდ თვეში საკასო შემოსავალი 700 000 ლარზე მეტს შეადგენს. ხარჯების ნაწილში შპს „ბათუმის წყალის“ დანახარჯებმა შეადგინა 10 233 857 ლარი.

შრომის ანაზღაურება

საზოგადოების ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს შტატით და შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება. 2014 წელს ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს შესაბამისი საშტატო განრიგი, რომელიც ასევე შეთანხმებულია პარტნიორთან. შტატგარეშე თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობა ინდივიდუალურად, შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვრებოდა, აუდიტის პერიოდში თანამშრომლებზე გაიცემოდა ხელფასი (თანამდებობრივი სარგო), პრემია როგორც ყოველკვარტალურად, ასევე თანამშრომელთა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით და ანაზღაურება ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის, რომელიც ხელფასის ორმაგი ტარიფით განისაზღვრებოდა, ასევე რიგ შემთხვევებში, თანამშრომლები შეთავსებით სხვა ანაზღაურებად სამუშაოებსაც ასრულებენ.

აუდიტის პერიოდში, საზოგადოებაში დასაქმებულია 236 შტატით და 201 შტატგარეშე თანამშრომელი. წლის განმავლობაში აღნიშნულ პირებზე დარიცხულია: ხელფასი 3 083 874 ლარი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება 1 341 394 ლარი და პრემია 709 940 ლარი, მათ შორის პრემია შტატგარეშე დასაქმებულთათვის 154 792 ლარი. სულ დარიცხულია 5 290 00 ლარი, რომელიც პროპორციულად ნაწილდება შემდეგნაირად:



როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, ზეგანაკვეთური ანაზღაურება ხელფასის 43.4%-ს შეადგენს, ხოლო პრემია ხელფასის 23.0%-ს. ზეგანაკვეთური ანაზღაურება გაიცემა ყოველთვიურად, შესაბამისი ტაბელის მიხედვით, სადაც აღნიშნულია თანამშრომელთა ნამუშევარი საათები, თუმცა ვერ ხდება იდენტიფიცირება ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების აუცილებლობისა და შინაარსის.

კრიტერიუმი:

საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში, საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით¹, ხოლო შრომის ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულია შრომის ხელშეკრულებით ან ბრძანებით, ასევე დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით². დასაქმებულისათვის გასაცემი საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება ფაქტობრივად ნასარგებლი შვებულების დღეებზე გაანგარიშებით.

გამოვლენილი გარემოება:

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულომ გამოსცა N97 (28.06.2013წ.) განკარგულება თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ზოგიერთი საქმიანობის ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმების შესახებ“, რომლის პირველი პუნქტის თანახმად გადაწყვიტა, რომ „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საშტატო განრიგის დამტკიცება განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მერის მიერ. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს ამ იურიდიული პირების ხელმძღვანელების მიერ, ქალაქ ბათუმის მერთან შეთანხმებით.“ ქალაქ ბათუმის მერის 2013 წლის 30 სექტემბრის N612 ბრძანებით დამტკიცდა შპს „ბათუმის წყალის“ საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები, სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა რაოდენობა და ხელფასი. როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდა ხელფასისა თანამშრომლებზე ყოველთვიურად ხდება ზეგანაკვეთური მუშაობის (საათების) ანაზღაურება, რომელიც ხელფასის ორმაგი ტარიფით ფინანსდება.

¹ საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლი;

² საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლი;

შესაბამისად, დასაქმებულებზე წლის განმავლობაში გაიცემოდა საშვებულებო ანაზღაურება. მათი საშვებულებო ანაზღაურების გათვლა ხდებოდა ნამუშევარი ბოლო სამი თვის ანაზღაურებიდან, რომელიც გარდა ხელფასისა, ასევე მოიცავდა მათთვის ორმაგი ტარიფით ანაზღაურებულ ზეგანაკვეთური სამუშაოების თანხას. ასეთ შემთხვევაში საშუალო ხელფასი, რომლიდანაც ხდებოდა საშვებულებო ანაზღაურების გამოთვლა, მნიშვნელოვნად აჭარბებდა მათ ფიქსირებულ ხელფასს და შესაბამისად, საშვებულებო ანაზღაურება ძირითადად ხელფასის 100-დან 170 პროცენტამდე შეადგენდა. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, საკითხი განიხილება შემდეგნაირად, პარტნიორს დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და განსაზღვრული აქვს როგორც დირექტორის, ასევე თანამშრომელთა ყოველთვიური ხელფასები. შესაბამისად, არსებობს მომუშავეთა ფიქსირებული ანაზღაურება, ხოლო საშვებულებოს გაცემის წესი რეგულირდება შრომის კოდექსით. კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად „დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით“. შესაბამისად, ვინაიდან პარტნიორის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით არსებობს ფიქსირებული ანაზღაურება, საშვებულებოს გათვლა უნდა მოხდეს წინა თვის ანაზღაურებიდან და უშუალოდ ფიქსირებული ანაზღაურებიდან და არ უნდა მოიცავდეს ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის დარიცხულ განაცემს, რადგან საშვებულებო ანაზღაურება დამოკიდებულია მის ძირითად შრომის ანაზღაურებაზე და არა ზეგანაკვეთურ თუ სხვა სახის ანაზღაურებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონში მითითებული სიტყვა „ფიქსირებული“ კარგავს თავის შინაარსს და გამოდის, რომ ყველა შემთხვევაში უნდა განხორციელდეს წინა სამი თვის ანაზღაურებით გაანგარიშება. ფიქსირებულ ანაზღაურებაში იგულისხმება დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებული შეთანხმებით, შრომითი ხელშეკრულებით, განსაზღვრული ყოველთვიური ფიქსირებული შრომითი ანაზღაურება. შესაბამისად, განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით, 2014 წლის განმავლობაში 187 თანამშრომელზე საშვებულებო ანაზღაურების სახით, შრომითი კანონმდებლობის შეუსაბამოდ დარიცხულია 93 944.5 ლარი.

აუდიტის ჯგუფის მიერ, ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით ქვემოთ განხილულია კონკრეტული დასაქმებულის მაგალითი საშვებულებო ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

მაგალითისთვის წარმოდგენილია ორი დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურების განაცემი, რომელთაც აქვს შემდეგი დარიცხვები:

N	ივნისი			ივლისი			აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი		
	ხელფ.	ზეგანაკ.	პრემია	ხელფ.	ზეგანაკ.	პრემია	ხელფ.	ზეგანაკ.	ხელფ.	ზეგანაკ.	ხელფ.	ზეგანაკ.	პრემია
1	1000	571.4	0	1000	434.8	1000	1000	500.0	1000	636.4	2676	363.6	0
დარიცხული სხვაობა N1				1676 ლარი (გამოძახების ჩათვლით)									
2	3453	2057.1	0	1983	2087.0	4800	6041	2220.0	1309	2509.1	2400	2672.7	1200
დარიცხული სხვაობა N2				3185 ლარი									

პირველ შემთხვევაში: როგორც ცხრილიდან ჩანს, ყოველთვიურად დასაქმებულს ერიცხება ხელფასი 1000 ლარის ოდენობით, რიგ შემთხვევაში პრემიაც და ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ნამუშევარი დღეების ანაზღაურება ხელფასის ორმაგი ოდენობით. აღნიშნული დასაქმებული, 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 4 ნოემბრის ჩათვლით, 24 სამუშაო დღით გავიდა შვებულებაში, მისი საშვებულებო ანაზღაურების გაანგარიშება განხორციელდა შემდეგნაირად: მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ფიქსირებული ანაზღაურება, აღებული იქნა წინა სამი თვის ანაზღაურება და ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის დარიცხული განაცემი, შესაბამისად წინა სამი თვის ხელფასი და ზეგანაკვეთური შეადგენს $1434,8+1500+1636,4=4571,2$ ლარს, რომლიდანაც შემდგომ აღებული იქნა საშუალო $4571,2/3=1523,7$ ლარი და აღნიშნული თანხიდან იქნა გაანგარიშებული მისი საშვებულებო ანაზღაურება. შესაბამისად, ოქტომბერში არის 22 სამუშაო დღე და მას მიეცა $1523,7$ ლარი და დაემატა ნოემბრის 2 სამუშაო დღე $1523,7/20*2=152,37$ ლარი, სულ საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრა 1676,07 ლარით. თუმცა 2014 წლის 2 ოქტომბერს, ანუ შვებულებაში გასვლიდან ერთი დღის შემდეგ, გენერალური დირექტორის სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე, გამოძახებული იქნა შვებულებიდან, რის შედეგადაც თვის ბოლოს მას დაერიცხა ოქტომბრის სრული ხელფასი და საშვებულებო ანაზღაურება 2676 ლარის ოდენობით.

მეორე შემთხვევაში: მეორე დასაქმებულს ყოველთვიურად ერიცხება ხელფასი 2400 ლარის ოდენობით, რომელსაც ასევე ეძლევა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება და რიგ შემთხვევებში პრემია. მეორე დასაქმებული გავიდა შვებულებაში 2014 წლის 30 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით, 5 სამუშაო დღით და 20 აგვისტოდან 16 სექტემბრის ჩათვლით, 19 სამუშაო დღით. მისი საშვებულებო ანაზღაურების გაანგარიშება განხორციელდა შემდეგნაირად: მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ფიქსირებული ანაზღაურება, ორივე შემთხვევაში აღებული იქნა წინა სამი თვის ანაზღაურება და ასევე ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის დარიცხული განაცემი, შესაბამისად, წინა სამი თვის ხელფასი და ზეგანაკვეთური ივნისის თვისათვის შეადგენს 15 805 ლარს, რომლიდანაც შემდგომ აღებული იქნა საშუალო $15\ 805/3=5\ 268,33$ ლარი. შესაბამისად ივნისში დაერიცხა ხელფასი (20 დღის) 2 285.7 ლარი და საშვებულებო 5

დღის $(5268.33/21=250.87 \times 1=250.87)$ + $(5268.33/23=229.05 \times 4=916.23)$ სულ 1 167.10 ლარი, ხოლო ივლისში დაერიცხა ხელფასი დარჩენილი 19 დღის 1 982.6 ლარი, სულ ორივე თვეში 5 435.4 ლარი. ხოლო რაც შეეხება აგვისტოს თვეს, საშუალო ხელფასი აღებული იქნა წინა სამი თვის $15\,011.13$ ლარი / $3 = 5003.71$, 20 აგვისტომდე მიეცა ხელფასი 1560 ლარი და საშვებულებო აგვისტოს თვის 7 დღე და სექტემბრის თვის 12 დღე, ანუ $5003.71/20 \times 7=1751.29$ ლარი და $5003.71/22 \times 12=2729.29$ ლარი, სულ 4480.58 ლარი. შესაბამისად აგვისტოში დაერიცხა 6040.6 ლარი.

რეკომენდაცია

თანამშრომელთა საშვებულებო ანაზღაურება განხორციელდეს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას.

გამოვლენილი გარემოება:

საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით. შპს „ბათუმის წყალში“ დასაქმებული შვებულებაში გასვლის სურვილს აფიქსირებს განცხადებით, რომლის საფუძველზეც გენერალური დირექტორი გამოსცემს ბრძანებას. აუდიტის ობიექტში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც დამსაქმებული ბრძანებით იძახებს შვებულებაში გასულ თანამშრომელს. თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ მოქმედი შრომითი კანონმდებლობა არ ცნობს გამოძახების ინსტიტუტს. გამომდინარე აქედან, გამოძახება განიხილება როგორც დამსაქმებლის თხოვნა, შეწყვიტოს დასაქმებულმა შვებულება და გამოვიდეს სამსახურში. აღნიშნულის განხორციელება დამოკიდებულია დასაქმებულის ნებაზე, რომელსაც აქვს უფლება შეწყვიტოს შვებულება ან გააგრძელოს და უარი თქვას საწარმოს შეთავაზებაზე. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ როგორც გამომუშავებული ხელფასის ოდენობა არის დამოკიდებული ნამუშევარ დღეებზე, ასევე საშვებულებოს ოდენობა დამოკიდებულია შვებულებაში ყოფნის დღეებზე. რადგანაც საშვებულებოს მიღების უფლება თანამშრომელს წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რა დროსაც უფლებამოსილი პირი დააკმაყოფილებს მის თხოვნას, შვებულებაში გასვლის თაობაზე. შესაბამისად ამ დროიდან ასევე წარმოიშვება დამსაქმებლის ვალდებულება აუნაზღაუროს საშვებულებო დასაქმებულს, იმ ოდენობით რამდენი დღის შვებულებითაც სარგებლობს ის. აქვე დამატებით განვმარტავთ, რომ გამოძახების შემთხვევაში თუ დასაქმებულმა შეწყვიტა შვებულება, მას უფლება რჩება ისარგებლოს დარჩენილი შვებულების დღეებით. გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული გამოძახების დროს შეწყვეტს შვებულებას და თუ მას აღებული აქვს საშვებულებო თანხა, მას ეს თანხა ჩაეთვლება ზედმეტად გადახდილად, ხოლო თუ მას წინასწარ არ მიეცა საშვებულებო,

მას უნდა მიეცეს მხოლოდ იმ დღეების საშვებულებო რა დროითაც ისარგებლა შვებულებით. ზემოთ აღნიშნულ მაგალითში, თანამშრომელი 1 ოქტომბერს გავიდა შვებულებაში 24 სამუშაო დღით, რომელიც გამოძახებულ იქნა 2 ოქტომბერს, რის გამოც მან შეწყვიტა შვებულება. მიუხედავად იმისა, რომ ისარგებლა შვებულების მხოლოდ ერთი დღე, მას საშვებულებო ჩაერიცხა 24 სამუშაო დღის, ასევე მას წლის ბოლომდე აღარ უსარგებლია შვებულებით. ზემოთ აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, საშვებულებო ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ შვებულების ერთი დღე, დანარჩენი თანხა უნდა ჩაითვალოს ზედმეტად გადახდილად, რადგანაც ის არ ჯდება კანონით მითითებულ საშვებულებო ანაზღაურების განმარტებაში. ანალოგიურმა გამოძახებებმა წლის განმავლობაში 18 ერთეული შეადგინა, რის შედეგადაც მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამოდ გადახდილი თანხა შეადგენს 31 589.9 ლარს.

რეკომენდაცია

თანამშრომელთა საშვებულებო ანაზღაურება განხორციელდეს მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, ფაქტობრივად ნასარგებლო საშვებულებო დღეების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების რაციონალურ ხარჯვას.

ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება

კრიტერიუმი

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს³. აგრეთვე დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

³ საქართველოს შრომის კოდექსის 17 -ე მუხლი;

გამოვლენილი გარემოება

აუდიტის პერიოდში საზოგადოებაში დასაქმებულ თანამშრომლებზე ანაზღაურებულია ზეგანაკვეთური სამუშაო საათების (დღეების) ღირებულება 1 341 046 ლარის ოდენობით, რომელიც დირექტორის ბრძანებით⁴ სახელფასო განაკვეთის ორმაგი ტარიფით გაიანგარიშებოდა. ხშირ შემთხვევაში ზეგანაკვეთური ანაზღაურება დასაქმებულის ფიქსირებულ ხელფასის 110%-დან 120%-მდე შეადგენს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურება წარმოებს სტრუქტურული ერთეულების მიერ წარდგენილი ტაბელების შესაბამისად, სადაც აღნიშნულია თანამშრომლის მიერ ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათები, თუმცა არ ფიქსირდება აღნიშნულ სამუშაოთა სახეები და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაქმებული ვალდებულია ზეგანაკვეთური სამუშაო შეასრულოს ანაზღაურების გარეშე თუ ის დაკავშირებულია სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ. შესაბამისად, დანამატების გაცემისას შესრულებული ზეგანაკვეთური მუშაობის სახის, პერიოდისა და აუცილებლობის დასაბუთება, დანამატის სახით გაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

რეკომენდაცია

შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მიზნით, ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ზეგანაკვეთური სამუშაოების ანაზღაურების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთება მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

საზოგადოების საკუთრებაში არსებული საწვავის ხარჯი

აუდიტის პერიოდში საზოგადოებას გაფორმებული აქვს ორი ხელშეკრულება საწვავის შესყიდვასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებულია ხელშეკრულება N325 30.12.2013წ. შპს „რომპეტროლ საქართველოსთან“ და N326 30.12.2013წ. შპს „ლუკოილ ჯორჯიასთან“, სულ საკასო ხარჯი შეადგენს 294 840 ლარს⁵. ასევე წლის დასაწყისში ბენზინისა და დიზელის ნაშთი შეადგენდა 9 420 ლარს, რომელიც სრულად იქნა გახარჯული. გაფორმებული კონტრაქტების მიხედვით განსაზღვრულია ლიმიტი თითოეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე თვის განმავლობაში, რომლებზეც მომსახურება ხდებოდა საბარათე სისტემის მეშვეობით, ასევე წლის განმავლობაში საზოგადოებაზე ხდებოდა ტალონების მიწოდება სხვადასხვა

⁴ შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორის ბრძანება N60 29.12.2011წ.

⁵ ხელშეკრულება N325 – 264 173; ხელშეკრულება N326 – 30 667

გენერატორების მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით. სულ „ბათუმის წყალის“ საკუთრებაშია 42 ერთეული მსუბუქი და სპეციალიზირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

კრიტერიუმი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანება „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებაზე (ავტოსატრანსპორტი, სპეც.ტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ბრძანების მოთხოვნების შესრულების შედეგად შესაძლებელია ერთობლივი შემოსავლებიდან გამოქვითული იქნეს ორგანიზაციაში მოხმარებული/გახარჯული საწვავი.

გამოვლენილი გარემოება

აუდიტის პერიოდში საზოგადოების მიერ გახარჯულია 204 260 ლარის საწვავი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწვავის მოხმარება ხდებოდა როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ასევე სათაო ნაგობოებზე/სადგურებზე შუქის გათიშვის შემთხვევებში შესაბამის გენერატორებზე, საწვავის ტალონების გამოყენებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 აპრილის N230 ბრძანების მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით, „გადასახადის გადამხდელმა საკუთარ ბალანსზე ან/და იჯარის, ლიზინგის და სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული და ეკონომიკურ საქმიანობისათვის გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად უნდა აწარმოოს – ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილი მანძილის რეესტრი წარმოდგენილი სახით ან სხვა ფორმით და პერიოდულობით. ამასთან, ოდომეტრის ჩვენება დაფიქსირებული უნდა იქნეს არანაკლებ თვეში ერთხელ. სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, რომელზეც საწვავის ხარჯი განისაზღვრება ნამუშევარი დროის ან/და შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ოდომეტრის მაჩვენებლების ფიქსაცია სავალდებულო არ არის.“ შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ოდომეტრის/მოტო საათების დაფიქსირება აუცილებელია ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რადგან შესაბამისი პროპორციით მოხდეს გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვა.

შპს „ბათუმის წყალში“ ავტომანქანებზე გახარჯული საწვავის შემოწმებით დგინდება, რომ შედგენილი „საგზაო ფურცლების მიხედვით“ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის გაცემა და ჩამოწერა ხორციელდება გაცემული საწვავის

კონკრეტულ ხარჯვის კოეფიციენტზე გაყოფით. კერძოდ, მაგალითისათვის მოცემულია ურთიერთკავშირი გაცემულ საწვავსა და ხარჯვის კოეფიციენტს შორის:

დასახელება	გაცემული/გახარჯული საწვავი	ხარჯვის კოეფიციენტი 100 კმ.-ზე (ლიტრი)	გავლილი მანძილი
რენაულტ კანგო			
მაისი	100	7.5	1333
ივნისი	100	7.5	1333
ტოიოტა ჰაილუქსი			
იანვარი	240	11.5	2087
მარტი	240	11.5	2087
მიცუბიში ლ200			
მარტი	250	11.5	2174
აპრილი	250	11.5	2174
ფორდ ტრანზიტი			
აგვისტო	500	13	3846
სექტემბერი	500	13	3846
დეკემბერი	500	13	3846

ზემოაღნიშნულ ცხრილში მაგალითისათვის წარმოდგენილია რამოდენიმე შემთხვევა, თუმცა წლის განმავლობაში ძირითადად აღნიშნული სახისაა ხარჯვის მონაცემები. წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ ფაქტობრივად ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გავლილი კილომეტრაჟი ფიქსირდება არა ფაქტობრივად გავლილი მანძილის მიხედვით, არამედ გაცემული საწვავის არსებულ კოეფიციენტზე გაყოფით და საგზაო ფურცლებში დაფიქსირებული მონაცემები არ შეესაბამება რეალობას. აღნიშნული სისტემატურობის გათვალისწინებით, ხშირად იმ შედეგს გვაძლევს, რომ რიგ თვეებში ავტოსატრანსპორტო საშუალებამ ერთი და იგივე მანძილი გაიარა, რაც ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია, ამასთან, აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული იქნა შპს „რომპეტროლ საქართველოს“ დიზელის საწვავის ხარჯვის შესაბამისი ამონაწერი, სადაც რიგ შემთხვევებში დაფიქსირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ოდომეტრის მონაცემები. აუდიტის ჯგუფის მიერ, დამატებით მოპოვებული იქნა მტკიცებულებები, რის მიხედვითაც შპს „რომპეტროლ საქართველო“ განმარტავს, რომ კილომეტრაჟის აღრიცხვა ხდებოდა მანუალურად, ოპერატორის მიერ, მძღოლის კარნახის საფუძველზე, აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, აუდიტის ობიექტის მიერ, შესაბამისი პერიოდის მიხედვით, ეგრეთწოდებულ „საგზაო ფურცლებში“ დაფიქსირებულ ოდომეტრის მონაცემებსა და ზემოაღნიშნულ ამონაწერში დაფიქსირებულ მონაცემებს შორის ფიქსირდება სხვაობები. შესაბამისად, საზოგადოებაში საწვავის ხარჯვის რეალობა აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით რისკის შემცველია.

კოეფიციენტზე გაყოფით, აღრიცხვის სისტემა გამოიყენება ასევე სპეციალიზირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელზეც საწვავის ხარჯვა შესაბამის ნამუშევარი მოტო საათებით განისაზღვრება. მაგალითად, ექსკავატორი „ნიუ ჰოლანდი ბ 115“, იანვრის თვეში ნაჩვენებია საწვავის ხარჯვა 960 ლიტრი, ხოლო ნამუშევარი მოტო საათები 120 ($960/8=120$); მარტის თვეში ნაჩვენებია ხარჯვა 1167 ლიტრი, ნამუშევარი მოტო საათები 146 ($1167/8=145.8$); დეკემბრის თვეში ნაჩვენებია ხარჯვა 856 ლიტრი, ნამუშევარი მოტო საათები 107 ($856/8=107$).

რეკომენდაცია

ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა საწვავის ხარჯვა და ჩამოწერა, შესაბამისი ტექნიკის მიხედვით, განხორციელდეს ფაქტობრივად გამოყენებული ლიტრაჟობისა და გავლილი კილომეტრაჟის მონაცემების მიხედვით.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯები

შპს „ბათუმის წყალს“, არსებული სპეციფიკური ამოცანებიდან გამომდინარე, საკუთრებაში გააჩნია როგორც მსუბუქი და სატვირთო, ასევე სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებები. აუდიტის პერიოდში, აღნიშნულ ტექნიკის უშუალოდ სარემონტო სახის სამუშაოებისათვის გაწეულია არანაკლებ 50 000 ლარის ხარჯი. სულ „ბათუმის წყალის“ საკუთრებაშია 42 ერთეული მსუბუქი და სპეციალიზირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

კრიტერიუმი

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების მე-3 მუხლი „საწარმო, ორგანიზაცია თავისი ქონებისა და სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ნატურალურ საზომ ერთეულებზე დაყრდნობით, განზოგადებულად ფულად გამოსახულებაში, მათი განუწყვეტელი, დოკუმენტური და ურთიერთდაკავშირებული ასახვის გზით“; შპს „ბათუმის წყალის“ წესდების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტი „საზოგადოება თავისი შეხედულებისამებრ ფლობს, სარგებლობს, განაგებს და მართავს საკუთარ ქონებას“ და 10.2 პუნქტი „საზოგადოების ქონებას შეადგენენ ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა ფასეულობანი, რომელთა ღირებულება აისახება საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსში. ზემოხსენებული მოთხოვნების შესასრულებლად, საზოგადოებამ განხორციელებული სამშენებლო, სარემონტო თუ სხვა ტიპის სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც შესაძლებელია იდენტიფიცირებული იქნეს

მატერიალური ფასეულობები, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაცვით უნდა განახორციელოს მათი ღირებულებითი შეფასება და აღრიცხვა კომპანიის ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

რეკომენდაცია

ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს, განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შედეგად შესაძლო მისაღები მატერიალური ფასეულობების იდენტიფიცირება და აღრიცხვა, რაც შესაძლოა საზოგადოებისათვის დამატებითი შემოსავლის საფუძველი გახდეს.

გამოვლენილი გარემოება

აუდიტის პერიოდში, სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოების ნაწილი განხორციელებულია მიმწოდებლების მიერ, ხოლო ნაწილი საკუთარი რესურსებით, ავტონაწილების შესყიდვისა და დაყენების/გამოცვლის საშუალებით, რომლის შეძენაც როგორც ადგილობრივ, ასევე გარე ბაზარზე ხდებოდა უცხოეთიდან. კერძოდ, თურქეთიდან ავტონაწილების მიწოდება ძირითადად ხდებოდა საბაჟო-საკონტროლო პუნქტამდე მიმწოდებლის⁶ მიერ, ხოლო აღნიშნული პუნქტიდან მისი განბაჟება, ტრანსპორტირება და გადასახადის გადახდა ხდებოდა შემსყიდველის მიერ. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ორგანიზაციაში არ ფიქსირდება რემონტის შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების⁷ აღრიცხვა/მართვა, რომელიც საზოგადოების დამატებითი შემოსავლის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო, მაგალითად ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ხორციელდება ძრავისა და სხვა მნიშვნელოვანი სავალი ნაწილების შეცვლა/შეკეთება, აღნიშნულის გათვალისწინებით, ავტონაწილების შეცვლის შედეგად შესაძლო მისაღები მატერიალური ფასეულობა მოცულობითი იქნებოდა ჩატარებული სარემონტო სამუშაოების საერთო მოცულობების გათვალისწინებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2014 წელს არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია⁸, რითაც დაზუსტდებოდა საზოგადოების კუთვნილი ქონება და მისი ღირებულება.

⁶ მიმწოდებელი სს „ერ-ქა სანაი ვე თიჯარეთი“.

⁷ ალუმინი, რკინა, სპილენძი და სხვა.

⁸ შეუსრულებელია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

რეკომენდაცია

ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება, ორგანიზაციაში არსებული ქონების იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით, რაც შესაძლებელია საზოგადოებისათვის დამატებითი შემოსავლების საფუძველი გახდეს.

სახელმწიფო შესყიდვები

კრიტერიუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი ბაზრის გამოკვლევის შედეგები.

გამოვლენილი გარემოება

„ბათუმის წყალმა“ ქუჩების შეკეთებითი სამუშაოებისათვის გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი სავარაუდო ღირებულებით 475 000 ლარი, ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, რომელმაც გაიმარჯვა შემსყიდველის მიერ განსაზღვრული სრული ღირებულებით, რის შედეგადაც ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „გზებს“, ღირებულებით 475 000 ლარი, თუმცა შემსყიდველის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი ბაზრის კვლევა/სამუშაოების განფასება მისი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით, თუ როგორ იქნა გამოთვლილი შესყიდვის ღირებულება. ასევე აღნიშნული სამუშაოების წარმოება, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საჭიროებდა შესაბამის ნებართვას ქალაქ ბათუმის მერიისგან. ორგანიზაციაში შემოსული კორესპონდენციის მიხედვით, მერიის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფრთხილებს/აცნობებს „ბათუმის წყალს“ იმის შესახებ, რომ რიგ შემთხვევებში გაცემული ნებართვები არ არის შესრულებული ან უხარისხოდ შესრულებულია, თუმცა რამდენად არის აღნიშნული ფაქტები გათვალისწინებული და აღმოფხვრილი შპს „ბათუმის წყალის“ მიერ ვერ დგინდება, რადგან მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებში, უმეტეს შემთხვევაში ვერ ხდება იდენტიფიცირება თუ კონკრეტულად ქუჩის რა მონაკვეთზე იქნა განხორციელებული სამუშაოები, ხშირ შემთხვევაში უბრალოდ მითითებულია ქუჩა ან სამუშაოების წარმოების ადგილი.

რეკომენდაცია

შესყიდვის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე უზრუნველყოფილი იქნეს განსახორციელებული სამუშაოების დეტალური განწერა და განფასება შესაბამისად დასაბუთებული ბაზრის კვლევის მიხედვით.

კრიტერიუმი

მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისთვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა⁹. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან 10 დღის ვადაში¹⁰.

გამოვლენილი გარემოება

შპს „ბათუმის წყალის“ მიერ განხორციელებული შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გაფორმებულ ხელშეკრულებებში მიმწოდებლების თხოვნით, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენლობის პირობებში, შესაბამისი დასაბუთების გარეშე განხორციელებულია ცვლილებები, კერძოდ:

- შპს „ბათუმის წყალსა“ და შპს „მ-ასტრა-M-Astra“-ს შორის 2014 წლის 13 თებერვალს მიწისქვეშა ჰიდრანტებისათვის ხუფის მიწოდებაზე გაფორმდა ხელშეკრულება N32, ღირებულებით 30 990 ლარი. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, თუმცა 2014 წლის 14 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მიწოდების ვადა განისაზღვრა 44 კალენდარული დღე. აღნიშნულ შეთანხმებას საფუძვლად დაედო მიმწოდებლის 13 მარტის წერილი, სადაც მიუთითებს, რომ თურქეთში მწარმოებელი ქარხნის შეფერხების გამო გვიანდებოდა საქონლის დროულად მიწოდება და ითხოვა ვადის გადაწევა. ასევე აღსანიშნავია, რომ

⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი;

¹⁰ სახელმწიფოს შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 20-ე მუხლის პირველი პუნქტი;

ცვლილებები არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში.

- შპს „ბათუმის წყალსა“ და შპს „იუნაიტედ მასტერსს“ შორის 2014 წლის 25 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ჩაქვის სათაო ნაგებობაზე, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში ნაკერებისა და ბზარების ინექციური ჰიდროიზოლაცია-ჰერმეტიზაციის სამუშაოებზე, ღირებულებით 171 400 ლარი. სამუშაოების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო ხელშეკრულების დადებიდან 20 კალენდარული დღე, რომელიც შემდგომ გაზრდილი იქნა 30 კალენდარული დღით¹¹. ცვლილებებს საფუძვლად დაედო მიმწოდებლის წერილი¹², სადაც აღნიშნულია, რომ სამუშაოებისათვის გათვალისწინებული აუცილებელი მასალების მოწოდება გერმანიიდან (კომპანია MINOVA) შეფერხდა სხვადასხვა ობიექტურ მიზეზთა გამო. ასევე აღნიშნულია, რომ განხორციელდა რეზერვუარისა და დაზიანებული კვანძების კვლევა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ობიექტის სრულ რეაბილიტაციას გაცილებით მეტი დრო ესაჭიროება.

- შპს „გაზენერგოკომპლექტი-ჯორჯიასთან“ წყლის ტუმბოების მიწოდებასთან დაკავშირებით გაფორმებული იყო ხელშეკრულება¹³ ღირებულებით 45 600 ლარი, ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო 20 კალენდარული დღით. 2014 წლის 13 თებერვლის მიმწოდებლის წერილის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყლის ტუმბოები განთავსებულია უკრაინაში, ქალაქ ილიჩოვსკში, საიდანაც ბორანით უნდა ჩამოვიდეს ბათუმში, ხოლო მათი ინფორმაციით ბორანის გამომგზავრების თარიღებია 16 და 19 თებერვალი. შესაბამისად ბორანი იქნებოდა ბათუმში 19 და 22 თებერვალს, რის საფუძველზეც ითხოვა ვადის გაგრძელება 7 დღით. მხარეებს შორის მეორე დღეს გაფორმდა მხარეთა შეთანხმება¹⁴ და ვადა გაგრძელდა 27 კალენდარულ დღემდე.

- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების¹⁵ თანახმად, გრანტიტისა და კვარცის ფილების მიწოდება და მონტაჟი უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების დადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. მიწოდების ბოლო დღეს მიმწოდებელმა შპს „ფელიქსმა“ მიმართა განცხადებით შემსყიდველს, სადაც მიუთითებს, რომ ზომების უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით საქონლის მიწოდებისა და მონტაჟის ვადა გადადებულიყო 30 მაისამდე. აღნიშნულის საფუძველზე

¹¹ 2014 წლის 15 დეკემბრის მხარეთა შეთანხმება N2;

¹² 2014 წლის 15 დეკემბრის წერილი N3111;

¹³ 2014 წლის 29 იანვარის ხელშეკრულება N25;

¹⁴ 2014 წლის 29 იანვარის შეთანხმება N1;

¹⁵ 2014 წლის 28 აპრილის ხელშეკრულება N123;

მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება და მიწოდების ვადა გაიზარდა 32 კალენდარულ დღემდე.

- შპს „ბათუმის წყალსა“ და შპს „მარიამი ო.ბ. 2006-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება N81-ის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო მდინარე ყოროლისწყლისა და მდინარე ლეჩას წყალმიმღები სათაო ნაგებობების, 117 399.76 ლარის ღირებულების, სარეაბილიტაციო სამუშაოები შეესრულებინა 30 სამუშაო დღის განმავლობაში. მხარეებს შორის 2014 წლის 6 მაისს გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც სამუშაოს შესრულების ვადა გაიზარდა და განისაზღვრა 50 სამუშაო დღით. შესაბამისად მიმწოდებელზე შესაძლებელი იყო დაკისრებოდა პირგასამტეხლო 4 დღის დაგვიანებისთვის 470 ლარის ოდენობით.

რეკომენდაცია

მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები შესაბამისად იქნეს დასაბუთებული და დაცული იქნეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოქმედი მარეგულირებელი ნორმები.

კრიტერიუმი

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამეურნეო წლის ბოლოს საწარმო ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ინვენტარიზაცია.

დებიტორ-კრედიტორული ვალდებულებები

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დებიტორული დავალიანება წლის დასაწყისისათვის შეადგენს 5 878 354 ლარს, ხოლო წლის ბოლოს 5 889 699 ლარს, ზრდა შეადგენს 11 345 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება წლის დასაწყისისათვის შეადგენს 149 097 ლარს, ხოლო წლის ბოლოს 153 543 ლარს. აუდიტის ობიექტში ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ არის განხორციელებული. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი დეტალური და შესაბამისი ინფორმაცია დებიტორული და კრედიტორული ნაშთების დადასტურების მიზნით. მაგალითად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მხოლოდ წყალის საფასურიდან დარიცხული დებიტორული მოთხოვნა შეადგენს 6 177 494 ლარს, აღნიშნულს დაემატება მიმწოდებლებთან და ფიზიკურ პირებთან წარმოშობილი

მოთხოვნები 308 470 ლარი, რომლებიც საერთო ჯამში შეადგენს 6 485 964 ლარს, რაც საერთო ჯამში 596 265 ლარით აღემატება შპს „ბათუმის წყალის“ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული დებიტორულ ნაშთს.

რეკომენდაცია

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობამ, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მიხედვით, განახორციელოს დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებების შესაბამისი ინვენტარიზაცია.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

გურამ დუმბაძე
უფროსი აუდიტორი



4.09.2015წ.

ირაკლი ანანიძე
უფროსი აუდიტორი



4.09.2015წ.

რამაზ დიასამიძე
აუდიტორ-ასისტენტი



4.09.2015წ.